დანართი N1

დამტკიცებულიასსიპ „საზოგადოებრივიმაუწყებლის
აჭარისტელევიზიისადარადიოს" დირექტორის
2022 წლის 03 თებერვლის N 02-03/3 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივიმაუწყებლისაჭარისტელევიზიისა დარადიოს" მიერ პროგრამის, პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის დებულება

თავი 1. ზოგადი დებულებები

პრეამბულა

1. ეს წესი განსაზღვრავს მაუწყებლის მიერ ტელე, რადიო, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელებისთვის განკუთვნილი პროდუქციის(პროგრამა, გადაცემა, ფილმი, სპექტაკლი, სერიალი, რეპორტაჟი, კულტურული ღონისძიება) ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის წესსა და პირობებს, ასევე, დამოუკიდებელი პირების მიერ მომზადებულ პროგრამების შესყიდვის წესსა და პირობებს, რომელთა შესყიდვაზე არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოსკანონი.

2. ეს წესი არ შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი საქონლის ან/და მომსახურების შეძენაზე, რომელი საქონლის ან/და მომსახურების შეძენაც გათვალისწინებულია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით;

3. სატელევიზიო, რადიო და ვებ.გვერდის მეშვეობით მაუწყებლობისას მუსიკალრი ნაწარმოების/ფონოგრამების ან/და შესრულების საჯარო გადაცემის შესყიდვა ხდება პირდაპირ, ქვეყანაში მოქმედ იმ კოლექტიური მართვის ორგანიზაციასთან რომელსაც დადებული აქვს ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება მსოფლიოს უმეტეს ანალოგიურ ორგანიზაციასთან.

4. კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად მაუწყებელი ხელმძღვანელობს კანონიერების, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კოლეგიალურობის, კორექტულობის, თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენციის, რაციონალურობის, ანგარიშვალდებულების, კანონის წინაშე თანასწორობის და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით.

თავი 2. შესყიდვის განხორციელების პროცედურა

მუხლი1. შესყიდვა ბაზრის კვლევის საფუძველზე

1. შესყიდვის პროცედურის დაწყებას ინიცირებას უწევს მაუწყებლის დებულებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული.

2. შესყიდვის ინიცირების შესახებ მოხსენებითი ბარათი წარედგინება მაუწყებლის დირექტორს.

3. მოხსენებით ბარათში მიეთითება შესყიდვის ობიექტი, რაოდენობა, მოცულობა, მაუწყებლის ბიუჯეტით გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა, შესყიდვის

განხორციელების ვადები (დაწყება/დასრულება), სხვა აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა შესყიდვის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

4. შესყიდვის პროცედურების ორგანიზებული მართვის მიზნით (შერჩევის კრიტერიუმების დადგენის, ბაზრის კვლევის პროცედურების წარმართვის, გამარჯვებულის გამოვლენისა და სხვა), მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით იქმნება მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში – კომისია), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრით. კომისია კომპლექტდება სათანადო კომპეტენციის მქონე პირებით. კომისიის შემადგენლობა შესაძლებელია შეიცვალოს კონკრეტული შესყიდვის სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. კომისიაში საქმიანობისათვის შრომის ანაზღაურება არ გაიცემა.

6. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც წარმართავს კომისიის საქმიანობას.

7. კომისიის სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

8. კომისია უფლებამოსილია:

ა) ორგანიზება გაუწიოს ბაზრის კვლევას;

ბ) დაადგინოს შესყიდვის ღირებულება;

გ) დაადგინოს შერჩევის კრიტერიუმები;

დ) ბაზრის კვლევის პროცესში აწარმოოს მოლაპარაკება პოტენციურ მომწოდებლებთან.

ე) პოტენციური მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი წინადადებების შერჩევის საფუძველზე გამოავლინოს საუკეთესო წინადადების მქონე მომწოდებელი/მომწოდებლები.

9. კომისია, ბაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე მის მიერ დადგენილი შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისად, შეარჩევს საუკეთესო წინადადება(ებ)ს და გამოავლენს მომწოდებელ(ებ)ს ან/და შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში ადგენს შერჩევის ჩაშლის შესახებ ოქმს.

10. კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

11. კომისია გადაწყვეტილებას ღებულობს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. კომისია გადაწყვეტილებაუნარიანი, თუ სხდომას ესწრება კომისიის სიიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

12. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით.

13. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება მაუწყებლის დირექტორს.

14. კომისიის ოქმის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში შერჩეულ მომწოდებელ(ებ)თან ფორმდება ხელშეკრულება.

მუხლი 2 . პირდაპირი შესყიდვა

1. პირდაპირი შესყიდვა დასაშვებია თუ:

ა) მომსახურების გაწევა ან/და პროდუქციის მოწოდება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ჩასანაცვლებლად.

ბ) პროდუქციის ლიცენზიის შესყიდვა ხდება უშუალოდ საავტორო/მომიჯნავე/მონაცემთა ბაზის უფლების მფლობელისგან.

გ) ტელე, რადიო, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელებისთვის განკუთვნილი პროდუქციის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვა ხდება მოკლევადიანი/ერთჯერადი მომსახურების სახით.

დ) ხორციელდება დამოუკიდებელი პირ(ებ)ის მიერ მომზადებული პროგრამის შესყიდვა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირდაპირი შესყიდვის აუცილებლობა უნდა დასაბუთდეს მაუწყებლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

3. წერილობით დასაბუთებაში უნდა მიეთითოს:

- შესყიდვის ობიექტი;
- რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება;
- რა მეთოდით დადგინდა პირის ექსკლუზიური უფლებამოსილება (1.ა. პუნქტის შემთხვევაში);
- რა მეთოდით დადგინდა, რომ არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ჩასანაცვლებლად(1.ა. პუნქტის შემთხვევაში);
- რა მეთოდით განისაზღვრა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება.
- რით არის განპირობებული პროდუქციის ლიცენზიის შესყიდვა უშუალოდ საავტორო/მომიჯნავე/მონაცემთა ბაზის უფლების მფლობელისგან(1.ბ. პუნქტის შემთხვევაში)..
- რით არის განპირობებული მომსახურების შეყიდვა ამ კონკრეტული პირისგან (1.გ. პუნქტის შემთხვევაში).

მუხლი 3 . შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობები

1. შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით.

2. ყოველ კონკრეტულ შესყიდვაზე, შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს ამზადებს მაუწყებლის იურიდიული მხარდაჭერის სამსახური.

3. შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი).

4. შესყიდვის შესახებ დადებულ ხელშეკრულება არ უნდა ითვალისწინებდეს ისეთ პირობებს, რომელიც აუარესებს მაუწყებლის მდგომარეობას.

5. შესყიდვის შედეგად დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს, ხელშეკრულებით განსზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი ან/და პირთა ჯგუფი, მაუწყებლის სტრუქტურული ერთეული.

4. დასკვნითი დებულება

ამ წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.